<u>პროექტი</u>

საქართველოს ორგანული კანონი

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 10.01.2012, სარეგისტრაციო კოდი: 010190020.04.001.016032) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის „ჰ^{7}“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ^{7}) სააგიტაციო მასალა – პლაკატი, დროშა ან ნებისმიერი სხვა მასალა, რომელზედაც გამოსახულია საარჩევნო სუბიექტი/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი ან რომელიც შეიცავს სხვა ისეთ ინფორმაციას, რომლის მეშვეობითაც საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის არჩევნებთან დაკავშირება არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას, ხარჯსა და დროს არ საჭიროებს;“.

2. 46-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^{1} და 2^{2} პუნქტები:

„2^{1}. დაუშვებელია სტაბილური ტერიტორიული განთავსების ტექნიკური საშუალების გამოყენებით ან მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ფარგლებში მოძრავ სატრანსპორტო საშუალებაზე განთავსებით ისეთი სააგიტაციო მასალის საჯარო სივრცეში გავრცელება, რომელიც გამიზნულია საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების შესაქმნელად. ასეთი სააგიტაციო მასალის გამავრცელებელი და გავრცელების დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს მისი დაუყოვნებლივ ჩამოხსნა/დემონტაჟი/აღება.

2^{2}. სტაბილური ტერიტორიული განთავსების ტექნიკური საშუალების გამოყენებით ან მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ფარგლებში მოძრავ სატრანსპორტო საშუალებაზე განთავსებით სააგიტაციო მასალის საჯარო სივრცეში გავრცელება დასაშვებია მხოლოდ პოლიტიკური პარტიის ან საარჩევნო სუბიექტის მიერ ან პოლიტიკური პარტიის ან საარჩევნო სუბიექტის დაკვეთით. ამასთანავე, პოლიტიკური პარტიის/საარჩევნო სუბიექტის მიერ ან პოლიტიკური პარტიის/საარჩევნო სუბიექტის დაკვეთით საჯარო სივრცეში გავრცელებული აღნიშნული სააგიტაციო მასალა არ უნდა შეიცავდეს სხვა პოლიტიკური პარტიის/საარჩევნო სუბიექტის გამოსახულებას, სახელწოდებას, რიგით ნომერსა და სიმბოლიკას. სააგიტაციო მასალის ამ პუნქტის მოთხოვნის დარღვევით გამავრცელებელი და გავრცელების დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს მისი დაუყოვნებლივ ჩამოხსნა/დემონტაჟი/აღება.“.

3. 79-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 და მე-4 პუნქტები:

„3. ერთი ერთეული სააგიტაციო მასალის ამ კანონის 46-ე მუხლის 2^1 ან/და 2^2 პუნქტის მოთხოვნის დარღვევით გავრცელება –

გამოიწვევს სააგიტაციო მასალის გამავრცელებლისა და გავრცელების დამკვეთის დაჯარიმებას თითოეულისა 2000 ლარის ოდენობით, ხოლო ამავე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სააგიტაციო მასალის განთავსების ობიექტის მესაკუთრის თანხმობით ჩადენის შემთხვევაში – აგრეთვე ამ მესაკუთრის დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

4. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირი არ უზრუნველყოფს შესაბამისი სააგიტაციო მასალის ჩამოხსნას/დემონტაჟს/აღებას, იგი აღნიშნული ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ყოველი 3 დღის გასვლისთანავე დაჯარიმდება 4000 ლარის ოდენობით თითო ერთეული სააგიტაციო მასალის ამ კანონის 46-ე მუხლის 2^1 ან/და 2^2 პუნქტის მოთხოვნის დარღვევით გავრცელებისათვის, ვიდრე არ უზრუნველყოფს ამ სააგიტაციო მასალის ჩამოხსნას/დემონტაჟს/აღებას.“.

4. 93-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კანონის 79-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტებითა და 81-ე და 86-ე–92-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ ცესკოს თავმჯდომარე და ცესკოს და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (თანამდებობის პირები).“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი